

ა ღ ს ა რ ე ბ ა

აღმსარებელი მორწმუნე გულმოდგინე ლოცვის შემდეგ,
მოძღვრის წინაშე გულახდილად აღიარებს თითოეულ, მის
მიერ ჩადენილ ცოდვას:

მომიტვე მე, უფალო, ყოველივე, რაოდენიცა ვსცოდე:

ამპარტავნებით (თავმომწონეობითა და უკადრისობით)
ანგარებით (ფულის მოყვარეობით, როდესაც ადამიანი
იუდას ემეგობრება და ფულში ცვლის თავის სულს).

ავაზაკობით (კაცთა ხლომითა და ძარცვით)

ამაოდ მეტყველებით (საჭიროების გარეშე)

არაწმიდებით (ცოდვათა მოურიდებლობით)

აღშფოთებით (გაცეცხლებით, გაბრაზებით)

აღთქმის დარღვევით (უკეთუ აღთქმა დაგიდვია წინაშე
ღმრთისა და დაარღვიე, არ აღასრულე)

ავთვალობით (თვალის ცემით, ცუდის წყრომის თვალით
შეხედვით)

ამაყოობით (ჩხუბისთაობით)

ამხანაგის დაჩაგვრით (გაუტანლობით)

არშიყოობით

ბოროტის სიტყვით

ბოროტის ფიქრით (ზრახვით)

ბოროტის სიზმრით

ბოროტ თავმოყუარეობით

ბოროტის ჩვეულებით

ბოროტ სიტყვათა ხსოვით

ბოროტ მიზიდულობით (ლტოლვით)
ბოროტის მიგებით (შურისგებით)
ბოროტის მოყუარებით
ბოროტის თანხმობით (დაყოლებით)
ბოროტის განკარგულებით
ბილწი გულისთქმით
ბილწი ამბორის ყოფით (მრუშის გულით კოცნით)
ბიწიერი წიგნების კითხვით
ბრძანებლობით (თუ ხარ ბრძანების მოყვარე? ან თუ
შენ საქმეს ერიდები და სხვას საქმეს უმძიმებ?)
გაუმაძღრობით (სანოვაგეზე და ქონების შეძენაზე)
გემოთმოყუარებით (სასმელ-საჭმელისა, სიბილწეთა
მიმართ)
გულგრილობით (საქმეზე ან სარწმუნოებაზე)
გულცივობით (უგულოდ ყოფით თუ ჩავარდი ღმრთის
უარყოფაში)
გულძვრობით
გულისწყრომით
გინებით (სჯულისა, წმ. ხატთა, ზეციერთადმი და
ქუეყნიერთა კაცთა და პირუტყვეთადმი)
გამოუთქუმელ ბოროტ გულისსიტყვით (სიწმიდეთა
მიმართ)
გლახაკთ მოძულებით
გარყვნილებით
გონების განხნევით (ლოცვასა შინა)
გმობით (ღმერთზე ანუ მართლმადიდებელ სარწმუნოებაზე
ძვრის თქმით)
გულფიცხელობით
გამართობელ თამაშობით (კარტით, ნარდით, ლოტოით
და სხვა)

გლახაკთ მიუცემლობით
გლახაკთა შეზიზღებით
გაფიცვით (გაბუტვით ანუ საქმის დაგდებით)
დიდებისმოყუარებით
ღედ-მამის უპატივცემულობით
დაქსნილობით (კეთილის უქმნელობისათვის, მიზეზად
ავადმყოფობის ან შეუძლებლობის მოგონებით)
დაუჯერებლობით
დაფოლვით (უკუეთუ ვისმეს, ყიდვა-მორიგების დროს
საქმე ჩაუშაღე ან აზარალე)
დაუდევრობით (უკუეთუ დაუდევარი ხარ შენის
მოვალეობისა)
დანატვრით (დახარბებით)
დაცემით ძილსა შინა
დაცინვით
დავიწყებით (უკუეთუ შენ კეთილის ქმნა დაგავიწყდა,
ანუ სხვისი რამ გქონდა შენ, მას დაავიწყდა და შენ არ
მიეცი; დავიწყებით ან შეჯდომით ზედმეტი ფული გადმოაყოლა
და არ დაუბრუნე)
ეშმაკის მანქანების მოწონებით (თვალთმაქცობით)
ეშმაკის შთაგონების დაჯერებით (უკუეთუ იწყნარებ
და უჯერი გულში შთასახულ ცუდ ფიქრებს, რომლის
აღსრულებით ვარდები ცოდვებში)
ენის მიტანით (დასმენით)
ეკლესიის გაძარცვით
ეკლესიაში წირვაზე წაუსვლელობით
ვერაგობით (ბოროტის ქმნის მზადებით)
ვალის გადაუხდელობით
ვეცხლისმოყვარებით (ოქრო-ვერცხლის მორთულო-

ბით ტანის შემკულობისათვის ანუ ქონებრივად)
 ზვაობით (ტრაბახით)
 ზღაპართმეტყუელებით
 ზარდაცემით (უკუეთუ ვინმე მწარედ შეგიშინებია)
 ზავის მოუხდენლობით (უკუეთუ ჩხუბს შესწრებიხარ
 და გაგზარებია, ან მორიგება არ ჩამოგივლია)
 თავხედობით (მეტყინრობით)
 თვლემით (კეთილი საქმის დროს ძილის მოკიდებით)
 თავდაუჭერლობით
 თუთრჩეულობით (თავისებურ რჯულის და ჭკუის
 მიმდევრობით)
 თილისმობით (მანქანებით, ანუ ბოროტ შელოცვით)
 თამბაქოს წევით
 თავის მორთვით (უზომოდ თმის სამსახურით)
 თავმალღობით (თავის დაუმაბლველობით, ან
 უკადრისობით)
 თავის თავისა და ჭკუის დიდად მინდობით
 იჭყანობით (ღმრთისა და მართლმადიდებლობაში თუ
 რაიმეს ეჭვობ?)
 კაცის კვლით
 კაცის დარბევით (შეუწყწარებლად დასჯით)
 კაცთა შეურაცხყოფით
 კაცთა საცთურში ჩაგდებით
 კაცთა აბუჩად აგდებით
 კაცთა მტერობით
 კაცთა ცუდის სახელის გამორქმევით (დაძახებით
 - რაკა, ეი. მაზინჯო, ცოფო, უგზურო და სხვა)
 კაცთა სამსახურიდან უმართებულოდ დათხოვნით
 კარგის წილ მდარის შეცვლით (საცოლესი, ანუ



ყოველგვარი სავაჭროსი)
 კეთილის დავიწყებით (საქველმოქმედო საქმისათვის
 თუ არ ცდილობ)
 კეთილის საქმის უყვარულობით (მოძულებით)
 კრულებით (კაცის ან პირუტყუს დაწყველით, ანუ
 ცოლ-ქმარი ზომ არ შეგიკრავს ბოროტი მოწამლულობით?)
 კერპთა თაყუანის-ცემით
 კეთილის ქმნის დარცხვენით (უკუეთუ კაცთაგან
 დაცინვას ან დაძრახვას მორიდებულხარ და კეთილის ქმნა
 დავიტოვებია)
 კეთილის საქმის დაშლით (უკუეთუ ვისმესთვის
 დავიშლია ლოცვა, მარხვა, პატიოსნება, სიძარტლე, სინანული,
 ღმრთის დიდება და ეკლესიაში წასვლა)
 ღალატით (კეთილ ადამიანთა დაჯახებით, მდევნელობით)
 ლოცვის უყვარულობით
 ლოცვის გამოტოვებით (ლოცვაში სიტყვათა
 გამოტოვებით)
 ლიქვნით (ტკბილის მეტყუელებით და დაყვავებით
 ვინმეს შეცდენა)
 მტაცებლობით (სხვისი ქონების)
 მითვისებით რაიმე არა კუთვნილისა (წართმევით
 მიბარებულისა ანუ ნათხოვისა)
 მოუთმენლობით
 მცონარობით (კეთილი საქმის დაზარებით. ლოცვა ან
 ეკლესიაში წასვლა თუ დაგზარებია?)
 მზაკვრობით (ცბიერებით)
 მძულვარებით (უკუეთუ სძულბ რომელსამე კაცთა,
 მტერთა, ანუ მოყუასთა და ტომთა, ანუ ცოლ-შვილს, ანუ
 ქმარ-შვილს)
 მოყუასის კეთილ წარმატებისათვის წყენით

მრუშობით (თვალთ, გულით და კორცით)
 მრავალმეტყუელებით
 მთვრალობით
 მუცელდორობით
 მოძღურის მოცემული კანონის დატოვებით
 მოძღუართა ზედა ძურის თქუმით (სასულიერო
 წოდებაზე, ანუ მეფეზე თუ გითქუამს ძური?)
 მოუფიქრებლობით
 მამათმავლობით
 მოწყინებით (თუ მოგწყინა ლოცვა, მარხვა და კეთილი
 საქმე, ღმრთის სამსახური და თავი დაგინებება?)
 მაცთური წერილის მიწერით
 მარხუს დარღვევით
 მავნებლობით
 მწვალებლობით (სხუა რჯულის მოწონებით ან
 თანაგრძობით)
 მაჭანკლობით (ქალსა და კაცს შორის ბოროტი ბიღწი
 მორიგება ხომ არ მოგიხდენია?)
 მუცლის გაფუჭებით (სხვისი ან შენი მუცლის
 მოშლა ხომ არ ჩაგიდენია?)
 მედიდურობით ჩაცმის მოყუარებით (მოდების
 მიმღევრობით)
 მაჩვენებლობით (კეთილი საქმისა ანუ რაიმე მოქმედ-
 ბისათუს)
 მოსამსახურის ანუ მომუშავეს ქირის დაკლებით
 მკითხაობით (თუ მკითხაობ ანუ თუ გიმკითხვინებია?)
 მცნების დარღვევით (ათი მცნებისა ანუ სახარებისა)
 მიმოხეტიალობით (სახლითი-სახლად, ანუ ღუქითი-
 ღუქნად მიმოსტუმრობით და მიმომხვეწაობით)



მოტყუებით (ვაჭრობაში, ალებ-მიცემობაში და სიტყუაში
 ცრუობით)
 მზვერობით (დაყურებით, ყურის დაგდებით, ჩუმად
 შემხედველობით და სხვისი საიდუმლოს გაგებით)
 მუსიკანობით (საკრავთა მკვერლობით)
 მომწამვლელობით (სხვისი ანუ თავის თავისა, რა მათ
 მოჰკლან სულდგმული ან ჩასახული)
 მხედველობით (ბოროტ ნახულთა ხსოვნით)
 მსმენელობით (ბოროტ გაგონილთა ხსოვნით)
 მსახიობობით (თეატრალურ სანახაობათა ნახვით, ან
 მათში მონაწილეობით)
 მშიერ-მწყურვალეთა მიუცემლობით
 ნაყროვანობით (უმსგავსო გაძლობით და პირღებინებით)
 ნაღვლიანობით ანუ კდემით (უკუეთუ კეთილი ჰქმენი
 და მერე ინანე)
 ნებსით შეცოდებით
 ნათესავთან დაცემით
 ნაპოვარის არ გამოჩენით (უკუეთუ დაკარგული
 რამე იპოვნე, პატრონი აღმოსჩენია, შენ დაგიფარავს და არ
 მოგიცია)
 ორგულობით
 ოცნებით
 პარვით (ნაპარავის დაფარვით)
 პატიმართა და უძღურთა უნახველობით
 პირ-ფერობით (პირში ფინდილით პატივით, პირსუკან
 კი - ლანძღვით)
 პირცუალებით (პირობის გატეხით)
 პირუტყუთა უზომო ცემით
 პირუტყუთა-თანა დაცემით

ჟინიანობით

რისხვით

როკვით (ცეკვით)

სინანულის გადაღებით (რომელსაც უნდა, ვერ სცოდნის და ვითომ ბოლოს შეინანებს. ამ დროს ადამიანი ღმრთის მტანჯუელად ითვლება, ვითარცა პილატე და ღმრთის გამცემლად, ვითარცა იუდა)

სიძუნწით

სიხარბით

სიძუთ

სახის მორთვით (ფერუმარილითა და სხვადასხვა საღებავებით)

სოფლის სიტკბოებით

სასა ტკბილობით (ყელის დატკბობით)

სასოწარკუთილებით (იმედის დაკარგვით)

სიზმართ დაჯერებით

სიმაღლით (უფროსობით ანუ მაღალი სწავლით,

რომელიც საკეთილოდ ვერ ხმარობს)

სიმაძღრით (საჭმლის მოჭარბებით)

სილაღით (გალაზღანდარებით)

სიფიცხით (მეტის მრისხანებით, გაფიცვებით)

სხვისი ქონების მონღომებით (უკუეთუ მოგინღომებია სხვისი ცოლი, ასული, სძალი, ოთხფეხი საქონელი ანუ სხვა რამაცა აქუს თუ ჰყავს მოყუასსა შენსა)

საძაგლის შეძინებით

სულიწმიდის გმობით

სხვისი ზარალის და დაბრკოლების გახარებით

სიმდიდრის ტრფიალებით

საზღვრის გადაწვეით (დარღვევით)

სასუმელ-საჭუმელის დაძალებით (უკუეთუ ვინმეს მეტის-მეტი დაძალებე სასუმელ-საჭუმელი)

სხვისი ნამოქმედარის გაფუჭებით

საწუთოხსა ოდენ განზრახვით (მხოლოდ ჯორციელის ცხოვრების წურთნითა და ზრუნვით).

საიდუმლოს გაცემით

საჭურველთმოყუარებით (დანის ან სხვა იარაღის მოყუარებით)

სხვისი მცოდველობის დაუშლელიობით (უკუეთუ დაგინახავს, რომ სცოდავს და არ დაგიშლია)

სევედის აღგზნებით (მობაღებით)

ტადარში უწესო ქცევა-ლაპარაკით

ტიპიკონის წესის დარღვევით

უღებებით (სიზარმაცით)

ურჩობით (გაუგონრობით)

უქმობით (უსაქმობის მოყუარებით)

უკეთურობით

უშვერი სიმღერი

უგუნურებით (პირუტყვეულ საქმეთა ჩადენით)

უფროსობის მოყუარებით

უსინდისობით

უსამართლობით (არა კანონისამებრ განსჯით)

უქმისგატეხვით

ულოცველობით

უწირველად ყოფნით


უდანაშაულოს დასჯით

უწყალობით (შეუბრალებლობით)

უფროს-უმცროსთან უმორჩილობით

უჯერო ჟამით

უჯერო სიცილით
 უჯერო რჩევით (რომელსაც მოსდევს კაცის დაღუპვა
 და სიკუდილიც)
 უბრალობით (უძრავობით)
 უმეცრებით (კეთილი სწავლის უნდომელობით)
 უშვერი სიტყვით (ბიწიერი სიტყვით)
 უკრძალველ ღმრთისმსახურებით
 ურცხვინოებით
 უგულისხმოებით
 უშვილობის წამლის ხმარებით
 უწესო ცხოვრებით
 უღირსად წმიდა ზიარების მიღებით (უკუეთუ
 სრულად არ გილოცნია და არ გიმარხულნია და ისე
 მიიღე)
 უნებლიეთ შეცოდებით
 უზიარებლობით
 ფიცით
 ფულის მოგებით (წესზე მეტის გადახდევინებით)
 ფულის ფლანგვით (არა საჭირო საგნებში და ბოროტ
 ჩვეულებებში)
 ფირალობით (ქალთა, ვაჟთა და პირუტყვთა მტაცებ-
 ლობით)
 ქრთამის მიცემ-მიღებით
 ქვრივ-ობლის განუკითხველობით
 ღმრთისადმი ურწმუნოებით (უკუეთუ ღმერთის
 არსებობა არ გჯერა)
 ღმრთისადმი უსასობით (უიმედობით)
 ღმრთის უშიშობით
 ღმრთის უყვარულობით (ღმერთზე უფრო თუ რამე



ან ვინმე გიყუარს?)
 ღმრთის დავიწყებით
 ღალატით (ცოლ-ქმარს შორის, ამხანაგთან, საქმესი და
 სხვა)
 სიყალბით (ყალბად მუშაობით)
 ყნოსვით (ბოროტი სუნის შეყუარებით, ანუ სიბილწეთა
 და სიმყარლეთა უძულველობით)
 ყრმათა დაბრკოლებით (უკუეთუ კეთილი არ ასწავლე,
 ანუ განხრწენ)
 ყბელობით
 შურით
 შურისძიებით
 შერუნებით (ხატზე გადაცემით)
 შუება-განცხრომით
 შეცთომილებით (უკუეთუ შეაცდინე ვინმე, ცოდვაში
 ჩააგდე, ანუ გზა დაუბნე)
 შეხებით (უწესოდ)
 შიშუელთ შეუმოსაობით
 შვილთა უნათლავად დამარხვით
 შენდობის მიუცემლობით
 ჩხუბით (სიტყვით, ცემით, გვემით და სისხლის დანთხვეით)
 ჩუკენობით (ონანიზმი)
 ჩქვლუტით (სიბილწის ფიქრით)
 ცილის წამებით
 ცოდვების სწავლებით
 ცოდვათა უნანელობით (უალსარებლობით)
 ცოდვის ქმნათა განარებით (ცოდვის ქმნა ზომ არ
 გაგზარებია ან შენი ან სხვისი, ან თუ ავიგულიანებია ვინმე
 ცოდვის ქმნისათვის)

ცოდვათა უძღვევლობით (ცოდვის სიყუარული ზომ არა გაქუს?)

ცრუ ფიცით (სამართალში ცრუმოწმობით)
ცნობისმოყუარეობით

ცოდვის ქმნის დაქადვით (დატრაბახებით)

ცულ ამბავთ მოყუარეობით

ცულ ხუმრობა-მასხარობით

ცილობით (სიტყვაში და ვაჭრობაში)

ცუნდრუკებით (კაცთაგან რაიმეს ლაქუცით გამორჩენისთვის)

ცულის ქცევით (უზრდელად და უშეგერად)

ცისკრისა და სერობის შემდეგ ჭამა-სმით

ცრუმორწმუნეობით (უკუეთუ მართლმადიდებლობაში მტკიცე არა ხარ, ანუ გწამს ზორცთა მღერანი (ასოთ თამაში), ხალხთა უწესო ჩვეულებანი და სხვა)

ძურის მეტყუელებით (ავის ლაპარაკით)

ძილისმოყუარეობით

ძმათა განკიცხვით (ტომთა და ნათესავთა, ნაცნობთა და უცნობთა)

ძმათა განრისხებით

ძღვნის მოყუარეობით

წყევით (მრავალგვარი)

წულთმკრწნელობით (ქალწულთა)

წმიდათა უპატივცემულობით

ჭორიკანობით

ხატთა არა თაყუანის-მცემლობით

ხმა მალლობით (წყრომით, ყვირილით, ღრიალით)

ხელობის უსწავლელობით

ხორცთა ფუფუნებით

ზომ

კორციელ მტრისათვის ულოცველობით (მიცვალებულიც რომ იყოს, მაინც)

კორცთა აღძრვით

კორცთა განხურვებით

ჯადოსნობით

ჯამუშობით (დაბეზღებით)

ჯავრის ამოყრით

ჯიბრობით (ვაჭრობაში და სხვაში მტრულის მეტოქეობით)

ჯილდოს მოყუარეობით

ჯუარის უყუარულობით (ღმრთის სიმათლისათვის გაჭირვების უნდომელობით)

ჯუარის გამოუსახელოობით (მოქმედებაში)

ჯუარის უპატივცემულობით

იბთა